ხაშურის მოამბე

№18 13 ოქტომბერი, სამშაბათი, 2015 წელი

ბონჯი, ტარნოვი, ნოვოგრად-ვოლინსკი, რადვილიშკისი, ბაუსკა-ჩვენ ერთად ვხეიმობთ ხაშურობას

როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ვსტუმრობ, ხშირად უკითხავთ ჩემთვის, რა გვაქვს ხაშურელებს ისეთი, რითიც შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, თავი გამოვიჩინოთ. ჩვენ არ გავქვს "ხვანჭკარა", ჩვენს ქვევრებში არ დუღს რქაწითელი, არც ხინკალს ახვევენ ოხშივარასული ცხვრის ხორცით მოხვევ ქალები, არც

ღომს ზელენ ცეცხლზეშემოდებულ გამურულ ქვაბებში, მაგრამ ეს ის საქართველოა, გული რომ უცემს ჩვენებური, "ქართლული". მოდით, ერთმანეთის უპირატესობების მტკიცებას ნუ

მოვუყვებით, ყოველდღიურ, რუტინულ ყოფასა და პრობლემებსაც ავარიდოთ თვალი–ხაშური 2015 წლის "ოქროს შემოდგომას" შეხვდა!

დედას პირველად, ჯერ კიდევ პატარა წავუყვანივარ მსგავს დღესასწაულზე. სახელდახელოდ შემწვარი მწვადი ახსოვს, ხალხით სავსე ქუჩები, პიონერული კონცერტები, კომუნისტური დაჯილდოვებები, ღიმილიანი სახეები... ამის მერე სამი ათეული წელი გავიდა, ბევრი ავკარგიანი დღეები ედგა ხაშურს, ზოგჯერ მოკრძალებულად, ზოგჯერ მხოლოდ უბრალოდ გაგვხსენებია ჩვენი ქალაქის სახალხო ურთიერთობის დღე. ახლა სხვა საუკუნეა, სტაბილური პოლიტიკური ურთიერთობებით. ქვეყნისა და შინაგანი თავისუფლება უკეთეს განწყობას და სტიმულს იძლევა, ეს დღე მეგობარ ქვეყნებთან ერთად სახალხო ზეიმად აქციო.

ხაშური "ოქროს შემოდგომა" წელს თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. მუნიციპალიტეტის გამგეობამ, კულტურის სამსახურმა, ძალისხმევა არ დაიშურა, რომ საკუთარი ქალაქის დღე, ქვეყნებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობის და დაახლოების სიმბოლო გამხდარიყო. ოთხი ქვეყნის ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის სხვადასხვა ქალაქების დელეგაციებმა საქართველოს ეს კუთხე მთელი სიდიადითა და სისავსით იხილეს. იყო კულტურა, ტრადიცია, ფოლკლორი, სამზარეულო-ყველაფერი, რითაც ყოველთვის შეგვეძლო თავის მოწონება-ქრონოლოგიურად გავყვეთ ერთი დღის ისტორიას: 10 ოქტომრის დილა სტუმრების სიმბოლური მასპინძლობით, ოფიციალური მიღებით დაიწყო. ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, პოლონეთის დელეგაციის წევრები ადმინისტრაციულ სახლში მიიღეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ვაჟა შუბითიძემ. სიტყვები წარმოსთქვეს დელეგაციის ხელმძღვანელებმა და მასპინძლებმა. თითოეულმა კიდევ ერთხელ აღნიშნა და ხაზი გაუსვა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრებს, როგორ შეუძლია ასეთ ურთიერთობებს, რომ

კიდევ უფრო გააღრმაოს ის დამოკიდებულება, რომელიც ამ ქვეყნებს ისტორიულად აკავშირებს. აქვე მოხდა სიმბოლური საჩუქრების გადაცემა, როგორც სტუმრების, ასევე მასპინძლების მხრიდან. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, საზეიმოდ გახსნეს 9 აპრილის მემორიალი და პატივი მიაგეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილთა ხსოვნას. ამ მემორიალის ფუნდამენტს ჯერ კიდევ 25 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ არც ერთ ადგილობრივ ხელისუფლებას ფიქრადაც არ მოსვლია მისი დასრულება. სასიამოვნოა, რომ ახალმა ხელისუფლებამ, მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, მაინც შეძლო და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას ამ მემორიალის დასრულებით, ის პატივი მიაგო, რომელსაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ. შემდეგ იყო ქვიშხეთის ვენახები წვიმიანი დღით და ოქროსფერი "ქვიშხურათი". ცეცხლზე შემოდგმული საარაყე ქვაბი, ცეცხლზევე შემოდგმული მოთუხთუხე ქვაბი–ჩურჩხელების კეთების

(გაგრძელება II გვერდზე)

გორკი, ტარნოვი, ნოვოგრად-ვოლინსკი, რადვილიშკისი, პაკსა-ჩვენ ერთად ვზეიმობთ ხაშურობას

(გაგრძელება)

მოლოდინში, ოხშივრად დაცლილი, იქვე, ვენახის პირას მოხვეული ხინკლები, მწვადები, ქართული, გულიდან წამოსული რაჭველების კახური მრავალჟამიერი-ეს იყო ჩემი საქართველოს, ჩემი ხაშურის ერთი დღის მხოლოდ დასაწყისი. ასეთი არაფერი უნახავთ, ასეთზე, მხოლოდ სმენიათ-გაოცებას ვერ მალავდნენ ჩვენი სტუმრები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, ისტორიასთან ერთად, ჩვენს თანამედროვე კულტურულ თვითმყოფადობას

გაუსვა ხაზი. ერთი დღით ხაშურის სასეირნო პარკი, ქოლგების ქალაქად, სხვადასხვა კულტურის ცენრად იქცა. უკრაინული, პოლონური, ლიტვური და ლატვიური კუთხეები, თავისი ფოლკლორით გააცოცხლეს ხაშურელმა მოსწავლეებმა. ეს იყო ორმხრივი სიამოვნება. სპორტული ღონისძიებებზე ახალგაზრდა ქალი ფეხბურთელები დააჯილდოვეს მოწვეულმა სტუმრებმა. დაესწრნენ რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირს ჭიდაობაში და საჭადრაკო შეხვედრებს. სახალხო ზეიმი საქალაქო კულტურის სახლში გაგრძელდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გიორგი გურასპაშვილმა, მიულოცა თანამოქალაქეებს და საპატიო ხაშურელის

წოდებით, დიპლომებით და მედლებით დაასაჩუქრა ანდრეი გაზაროვი, უკრაინელი ბიზნესმენი, რომელიც მეათედ სტუმრობდა ჩვენს ქალაქს და უზომოდაა შეყვარებული ხაშურზე. ჭიდაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ვახტანგ კვინიკაძე, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მერი ხარაბაძე. ხაშურის ისტორიის კვლევაში შეტანილი წვლილისათვის თამაზ ლაცაბიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებაში, ხელოვნების კვლევაში შეტანილი დიდი წვლილისათვის მიხეილ ქანთარიას. ხოლო დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია საზეიმო ვითარებაში გადაეცა გურამ ყორანაშვილსა და თამაზ ლაცაბიძეს. ასევე, საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ჭიდაობის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი კვინიკაძე თავის აღზრდილ წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად. კონცერტი გახსნა რაჭიდან ჩამოსულმა ანსამბლმა "არეომ" დათულიკა სხირტლაძის ხელმძღვანელობით, თბილისიდან მოწვეულმა ჯგუფმა "შენგენი" ქართული მოდერნიზებული კომპოზიციით მოხიბლა მსმენელი. არც ადგილობრივი ჯგუფები დარჩენილა ყურადღების მიღმა. ერთმანეთს ენაცვლებოდა, "ციცინათელა", "ფრესკა" და "ოქროს ფარი". იყო ორმხრივი მილოცვები, კეთილი სურვილები, სტუმრების გაოცებული თვალები... დღესასწაულს ცოტა მოგვიანებით შიდა ქართლის გუბერნატორიც შემოუერთდა, რომელმაც გარდა გასართობი ღონისძიებებისა, ქალაქის მეხუთე საბავშვო ბაღში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიც დაათვალიერა და კმაყოფილება გამოთქვა. არც გულწრფელი მილოცვები დავიწყებია:

ზურაბ რუსიშვილი (შიდა ქართლის გუბერნატორი):—პირველ რიგში მინდა მივულოცო ხაშურს დღევანდელი დღე! ვუსურვო წარმატებები ყველა ხაშურელს, ჯანმრთელობა, სიხარული და სიკეთე, ღმერთმა მრავალ დღესასწაულს დაგასწროთ და მოხარული ვარ, რომ დღევანდელმა დღემ ასე ლამაზად ჩაიარა, სტუმრიანობა დიდი იყო, დარწმუნებული ვარ, ყველა ჩამოსული სტუმარი კმაყოფილი იქნება. ასე, რომ გილოცავთ, კიდევ ერთხელ!

გიორგი გურასპაშვილი (ხაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი):—ასეთი დღესასწაულები, ერთგვარად, გამოცდაა ნებისმიერი მუნიციპალიტეტისათვის. არ დაგიმალავთ და მეც, ასე ვთქვათ, მასპინძლის მღელვარებით ვღელავდი.

მართალია, ცუდმა ამინდმა კორექტივები შეიტანა მთელ რიგ გაწერილ ღონისძიებებში, მაგრამ, მიხარია, რომ მთლიანობაში დღესასწაული შედგა. სასიხარულოა, რომ ამდენი მოწვეული სტუმარი საკუთარ ქვეყანაში ჩვენ ქალაქზე თბილ სიტყვას იტყვის. მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები მშვენივრად დავძლიეთ და მთლიანობაში ულამაზესი დღესასწაული მივიღეთ. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, როდესაც ამდენ გაღიმებულ სახეს ხედავ. ესაა მაგალითი, როდესაც უმცირესი რესურსით შესაძლებელია ასეთი დიდი მასშტაბის მოწყობა. მთელმა ორგანიზაციულმა გუნდმა მშვენივრად იმუშავა, და დიდი მადლობა ყველას ამისათვის.

კონსტანტინე ფრუიძე (ხაშურის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი):—წელს, განსაკუთრებული მონდომებით ვემზა-

დებოდით. გვინდოდა, დღესასწაული მასშტაბური და სახალხო ყოფილიყო. ამინდმა არ შეგვიწყო ხელი, ყველა ღონისძიება ისე ჩაგვეტარებინა, როგორც დავგეგმეთ, თუმცა, სტუმრებიც და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩა.

ევა კუბისტალი (პოლონეთის კულტურის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი):—ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში. გაოცებას ვერ ვმალავ, ძალიან დიდი სხვაობაა ჩვენ ქვეყნებში, ხალხში. აქ იმხელა სითბოა, სიყვარული... ამხელა მთები, არაჩვეულებრივი ბუნება, სამზარეულო. ეს მოკლეხნიანი ვიზიტი არ მაძლევს საშუალებას, კარგად გავეცნო საქართველოს დანარჩენ კუთხეებს, აუცილებლად გესტუმრებით კიდევ. გილოცავთ ამ

სახალხო დღესასწაულს, საუკეთესო სურვილებით პოლონეთიდან.

დათულიკა სხირტლაძე (ჯგუფი "არეო") —გილოცავთ ამ სახალხო დღესასწაულს! მიუხედავად იმისა, რომ ამინდმა ხელი არ შეგვიწყო, წლევანდე

(გაგრძელება III გვერდზე)

გორკი, ხარკოვი, ნოვოგრად-ვოლინსკი, რადვილიშკისი, პაცკა-ჩვენ ერთად ვზეიმობთ ხაშურობას

(დასასრული)

ლი "ოქროს შემოდგომა" ნამდვილად შედგა! უამრავი ხალხი მოვიდა კონცერტზე, ძალიან ლამაზი იყო ქვიშხეთი თავისი ქართული გადაწყვეტით, მე, როგორც ამ ქვეყნის შვილმა, დიდი სიამოვნება მივიღე. ჩვენი ჩამოსვლა სუფთა მეგობრული ჟესტი იყო, ასეთ დროს მოდიხარ გულსავსე, გინდა, რომ ის, რასაც აკეთებ, სასია-

მოვნო იყოს ყველასთვის და მიხარია, რომ ასე კარგად მიგვიღო ხაშურის მოსახლეობამ. მინდა დავაანონსო, რომ ხაშურის მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა საკუთარ ქალაქში იხილონ და მოუსმინონ ჯგუფ "შინს" და "ეგარი"-ს.

ვასილ კორნიენკო (ჯგუფი "შენგენი") –

ჩვენ კულტურის სამსახურის მოწვევით ვართ, დავესწარით ყველა პროცესს, ძალიან მოგვეწონა. კარგი იქნებოდა სხვა ქალაქებიც თუ აიღებდნენ მაგალითს და დაამკვიდრებდნენ ასეთ ტრადიციას, რომელიც მოსახლეობას ერთ ლამაზ დღესასწაულს ჩუქნის. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენც თქვენთან ერთად ვზეიმობთ.

გრიგოლ გელაშვილი (ხაშურის მაცხოვრებელი):–მე და ჩემი მეგობრები დილიდან ველოდებით ღონისძიებების დაწყებას. მოლოდინმა გაამართლა. ძალიან მომწონს გარემო, რომელიც

აქ დაგვხვდა. სასიამოვნოა, რომ ჩემი თაობა აქტიურადაა ჩართული იმ ღონისძიებებში, რომლებიც ჩვენი სტუმრების საპატივსაცემოდ დაიგეგმა.

10 ოქტომბრის დღესასწაულის ესტაფეტა ხაშურმა სურამს გადასცა, სადაც უკვე ათეული წლებია სახალხო ზეიმი „ლესიაობა“ იმართება“ წელსაც, ტრადიციას არ უღალატა ქალაქმა და კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა, როგორც მოწვეულ სტუმრებს, ასევე ადგილობრივებსაც.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს დღე ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნებრივი მეგობრობის სახესიმბოლოდ არის ქცეული. უკრაინაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ორი ქვეყნის მეგობრობას ვერანაირი გარეშე ძალა ვერ შეარყევს. საქართველო და უკრაინა ორმაგად გააგრძელებს თანამშრომლობას, მეგობრობას და ერთურთის მხარში დგომას.

ვაჟა შუბითიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე: „ლესიაობა” ეს ის დღეა, რომელიც ორ მოსიყვარულე ერს ერთმანეთთან აკავშირებს. როგორც დავით გურამიშვილმა შეაკავშირა ქართველები და უკრაინელები, ისე ლესია უკრაინკამ დაგვაახლოვა და დაგვაკავშირა სამარადჟამოდ ეს ორი მოძმე ერი. დღეს უკრაინა განიცდის რთულ დღეებს, როგორც ჩვენ განვიცდიდით 2008 წელს, იმ დროს ისინი გვერდში გვედგნენ და პირიქით, ახლა ჩვენ ვუცხადებთ მათ სოლიდარობას. ეს დღე არის შესანიშნავი საშუალება, რომ ჩვენ მეგობრებს მოვესიყვარულოთ, მათდამი პატივისცემა გამოვამჟღავნოთ. ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს და უფრო მასშტაბური სახე მიეცეს.

დელეგაციის წევრები რამდენიმე დღით ადრე ესტუმრნენ ხაშურს. წინა დღით, ხაშურობაზე გამართულ ღონისძიებასაც დაესწრნენ. სტუმრებს უკრაინიდან ჩინებული დახვედრა მოუწყეს სურამის სკოლის მოსწავლეებმა. ქართულ ცეკვებს, თემატურ ლექსებს თან სტუმართა ტაში და ოვაცია ერთვოდა. მასპინძელმა მხარემ ჩინებული დახვედრა მოუწყო სტუმრებს, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აუცილებლობას.

ნატალია მახარაშვილი, საქართველოში უკრაინული დიასპორის წარმომადგენელი ანსამბლ ,,ჩერნობრიჩკის“ ხელმძღვანელი: „ ათი წელია ჩამოვდივარ ხაშურში ამ დღის აღსანიშნავად. ჩვენ იმდენად შევისისხლხორცეთ ეს დღე, რომ მის გარეშე არც შეგვიძლია.

უკვე ტრადიციად გვექცა, რომ ყოველ წელს მოვინახულოთ ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი და მისი მემორიალი ყვავილებით შევამკოთ.

სტუმრებმა ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმში გადაინაცვლეს. სადაც პოეტის მემორიალი ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს. ანსამბლმა „ჩერნობრიჩკი” აკორდეონის თანხლებით სასიამოვნო სიმღერით დაატკბო და გაახალისა გარემო. ამ შესანიშნავ დღეს შესანიშნავი ამინდიც უწყობდა ხელს. ძალიან ამაღელვებელი აღმოჩნდა სახლ-მუზეუმის კართან საოცარი დახვედრა პატარებისა, რომლებიც ლექსებით შეეგებნენ სტუმრებს. თავის მხრივ სტუმრებმაც საოცარი სითბო გამოხატეს მათ მიმართ. მათ ასევე ლესია უკრაინკას სახ-მუზეუმიც დაათვალიერეს. პოეტის ნივთები და სამუზეუმო ექსპონატები საოცრად ამშვენებდა მუზეუმს.

ანდრეი გაზაროვი, დელეგაციის წევრი: –„საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა. ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი. ბევრი ჯილდო მაქვს მიღებული შვეიცარიიდან უკრაინიდან, მაგრამ ხაშურის საპატიო მოქალაქის წოდება, ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვის. გასულ წელს საქართველოში ოჯახთან ერთად დავისვენე. მოხარული ვარ ქართველი ხალხის ასეთი სტუმართმოყვარეობით. მიყვარხათ ქართველებო!”

კიდევ ერთი, გამორჩეული დღე ჩაეწერა ჩვენი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის ისტორიის ფურცლებზე. დღევანდელ დღეს გამოვლენილი სიყვარული ამ ორი ერისა ამტკიცებს, რომ ეს ურთიერთობები ურყევი და საუკუნოა. იქ მუ-

ოფთა ამაღლებულ განწყობასაც ადვილად შენიშნავდით, რომელიც ცხადყოფს, რომ ჩვენი მეგობრობა უკვდავია და ეს ტრადიცია კიდევ წლებს და საუკუნეებს ჩამოიტოვებს უკან. სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს საოცარი მასპინძლობისათვის და ერთი წლით დაგვემშვიდობნენ.

დასრულდა კიდევ ერთი, ემოციებით სავსე სახალხო დღესასწაული, გულწრფელმა დამოკ-

იდებულებებმა ოქროსფერი შემოდგომა, ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლოდ აქცია, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ხუთი ქვეყნის შემოდგომის მზით გამთბარ ქალაქებს.

თ. ჯავახიშვილი,
თ. ახალკაცი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახური – ორიენტირი მომავლისკენ

ბოლო პერიოდში ჩვენი გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სამსახურის ანგარიშებს 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მოსახლეობა ეცნობა ამ ანგარიშებს და, ფაქტობრივად, საქმის კურსშია თუ რა კეთდება მათ მიერ არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და რა აქვს დაგეგმილი ხელისუფლებას მომავალში. ამჯერად ჩვენ გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს ბატონ **სერგო ლალიაშვილს** შევხვდით და ვთხოვეთ მისი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოეცა ინფორმაცია, რაზეც ბატონი სერგო სიამოვნებით დაგვთანხმდა. აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს სამსახური სამ განყოფილებას აერთიანებს: ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, სივრცით მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებებს, ქვემოთ სწორედ ამ ცალკეული განყოფილებების გაწეული მუშაობის შესახებაა საუბარი.

საანგარიშო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ მიზანმიმართული ღონისძიებები ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ხაშურში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მიზნით.

მიმდინარე წელს დიდი ყურადღება დაეთმო სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისა და ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც მოიცავს - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა -შენახვის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების, სარწყავი და ღვარსადენი არხების გაწმენდის, გარე განათებების მოწყობის, დასუფთავებას და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად მიმართული ღონისძიებებს.

საანგარიშო წლის პერიოდში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, როგორც ანალიზმმა გვიჩვენა, როგორც სოფლებში, ისე ქალაქ ხაშურში პრობლემები თითქმის იდენტურია. სულ ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 79 სოფელში 110 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რისთვისაც 855 226 ლარია გამოყოფილი. სამუშაოებში ათობით სამშენებლო ორგანიზაცია და ინდმეწარმეა ჩართული, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

სამომავლოდ პროგრამის წარმატება მნიშვნელოვნად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვას, გასულ წლებში არსებული ხარვეზების გათვალისწინებას, მშენებლებთან ყოველდღიური, საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. სამსახური მოტივირებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და სისტემატურად აკონტროლოს მათი შესრულების მიმდინარეობა და ხარისხი, გამოვლენილ დარღვევებზე მოახდინოს ოპერატიული რეაგირება. ამ პროცესში სამსახურის როლი განსაკუთრებული და პასუხსაგებია. ინფორმაციები პროგრამის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვირეულად იგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში. ვფიქრობთ, რომ განსახორციელებელ პროექტებში მოსახლეობის ფართო ჩართულობა, მშენებლებთან აქტიური თანამშრომლობა, მომთხოვნელობა და მოტივაცია იმისა, რომ მომავალ წელს პროგრამა უფრო წარმატებული იყოს, მოგვცემს სასურველ შედეგს.

სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 2 944 732 ლარი (პროექტირების ჩათვლით) აღნიშნული თანხები გადანაწილდა 7 სამუშაოზე, როგორებიცაა:

1. ქ. ხაშურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ასფალტირება;
2. ქ.ხაშურში, მაისის ქუჩაზე, №5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
3. ქ.ხაშურში, ხეთაგუროვის ქუჩაზე, №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
4. ქ.ხაშურში, გურამიშვილის ქუჩაზე, №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
5. მდინარის სურამულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები;
6. დაბა სურამში პუშკინის და რუსიას ქუჩის ნაწილობრივ მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
7. დაბა სურამში, მდინარე ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

თითოეული სამუშაო მიმდინარეობს ხელშეკრულების მიწოდების ვადებში და უახლოეს მომავალში ყველა ობიექრი დასრულდება.

სამუშაოები განხორციელდა ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, კერძოდ:

1. ქალაქ ხაშურში გაგარინის ქუჩაზე, ფარნავაზის ქუჩაზე, ბორჯომის ქუჩაზე (წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძართან) მდებარე მინი სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა;
2. ქალაქ ხაშურში, დაბა სურამში და სოფელ ცხრამუხაში ასფალტირებულ ქუჩებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შესყიდვა–მონტაჟი;
3. ქალაქ ხაშურში, პოლიციის შენობასთან, არხის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
5. სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზისათვის სკამების შესყიდვა–მონტაჟი;
6. სიჩქარის მზომი და ვიდეოსამეთვალყურეო მოწყობილობების შესყიდვა-მონტაჟი;
7. ქალაქ ხაშურში, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები;
8. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნის შესყიდვა-მონტაჟი;
9. მდინარე ბუღუთურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა;
10. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
11. კულტურის სახლში (ე.წ რკინიგზის კლუბში) რკინის კარების შესყიდვა-მონტაჟი;
12. ქალაქ ხაშურში 9 აპრილის მემორიალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
13. ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ორმოული შეკეთების სამუშაოების შესყიდვა;
14. ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ახლაც მიმდინარეობს სამუშაოები, კერძოდ:

1. ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის მოწყობის სამუშაოები;
2. დაბა სურამში რკინის წყლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
3. დაბა სურამში, პუშკინის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
4. სოფელ მიწობში სასმელი წყლის სათავის მოწყობის სამუშაოები;
5. დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები;
6. სოფელ ნაცარგორის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;
7. სოფელ ცოცხნარის წყლის სისტემის მოწყობა;
8. სოფელ სატივეში და სოფელ ახალსოფელში კონტეინერების შესყიდვა-მონტაჟი;
9. ქალაქ ხაშურში კულტურის ცენტრების გაერთიანების შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

უახლოეს დღეებში გაფორმდება ხელშეკრულება და დაიწყება:

1. ქალაქ ხაშურში, სვანიძის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები;
2. დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩის ნაწილობრივ მოასფალტების და კეთილმოწყობის სამუშაოები.

ტენდერებია გამოცხადებული და მოხდება:

1. ქალაქ ხაშურში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
2. ქალაქ ხაშურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე მუზეუმის შენობის გამაგრების სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნული პროექტი შეადგინა სამხარაულის კვალიფიციურმა ექსპერტებმა და საფუძვლიანად მოხდება შენობის ავარიული ნაწილის და ფუნდამენტის გამაგრება;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
4. ხაშურის №7 საბავშვო ბაღის სამზარეულოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

საპროექტო დოკუმენტაციები მომზადებულია 4 საბავშვო ბაღის და სურამულას კალაპოტის წმენდის.

ჯამში მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში ხარჯავს დაახლოებთ 1 731 021 ლარს, რაც გასული წლის მაჩვენებლებს ორჯერ აღემატება.

არაერთი პროექტი მზადდება უკვე მომავალი წლისთვის და უკვე ადრეული გაზაფხულიდან შესაძლებელი იქნება სამუშაოების დაწყება.

საანგარიშო პერიოდში სამსახური, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებდა საზედამხედველო ფუნქციებს თითოეულ მშენებარე ობიექტზე. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ მშენებლებთან, კონტრაქტორ კომპანიებთან, სამინისტროსა და სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში შემავალ სამსახურებთან და ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული არიან და ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ პროცესების ნორმალურად წარმართვასა და სამუშაოების დროს წარმოქმნილი პრობლემების ოპერატიულად აღმოფხვრას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურს განცხადებით მომართა არაერთმა მოქალაქემ სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად ფულადი დახმარების ან სამშენებლო მასალებით გამოყოფის თაობაზე.ასეთ განცხადებათა რაოდენობა სულ უფრ იზრდება. სამწუხაროდ, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართებით მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნები უსაფუძვლოა, საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები, განსაკუთრებით სახურავებთან მიმართებაში, მათი სიძველითაა გამოწვეული და არა რაიმე სახის სტიქიური მოვლენით. სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების ზარალის დამდგენ კომისიასთან ერთად უნდა შევიმუშაოთ დამატებითი ღონისძიებები ამ მიმართებით შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრისა და მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის.

მომავალი წლისთვის აქტიურად ვითანამშრომლებთ საცხოვრებელ ბინებში შექმნილ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებთან. მუნიციპალიტეტში სულ 26 ამხანაგობაა ამ ეტაპზე რეგისტრირებული. ადგილებზე გასვლით მოხდება მობინადრეთა ინფორმირება ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების უპირატესობის, ამხანაგობის მიერ საერ

(დასასრული V გვერდზე)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახური – ორიენტირი მომავლისკენ

(დასასრული V გვერდზე)

თო ქონებით სარგებლობის, მისი გამოყენებისა და განკარგვის, თანადაფინანსების პრინციპით საცხოვრებელ სახლებში არსებული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვფიქრობთ, რომ მომავალში უნდა გამოვიყენოთ ამ მიმართებით სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილება და ბინისმესაკუთრეები აქტიურად ჩავრთოთ თანადაფინანსების პრინციპით მათივე პრობლემების მოგვარებაში, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა-საცხოვრებელი სახლების ეზოების, მისასვლელი გზების, სადარბაზოების შეკეთება და კეთილმოწყობა.

შემოსულია მოქალაქეთა 1800-მდე განცხადება და წერილი. დასმული საკითხები უმეტესწილად ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებასთანაა დაკავშირებული. მათი უმეტესობა კომისიურადაა შესწავლილი და გაცემულია არგუმენტირებული პასუხი. საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან დანახარჯებს არ საჭიროებენ, მოგვარებულია. დანარჩენები აღრიცხულია, შეძლებისდაგვარად, იქნება გათვალისწინებული და შესაბამისი ზომები მიღებული.

სამსახური მოტივირებულია და ყველაფერს გააკეთებს მასზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობების შესასრულებლად, რითაც თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისა და ამ მიმართებით ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში 2015 წლის იანვრიდან დღემდე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით გადმოგვეცა 5-ობიექტი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №89 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, 2015 წლის იანვრიდან დღემდე,მომზადდა 10 პროექტი. აქედან 3 განცხადებაზე მომზადდა უარის ბრძანების პროექტი, 7-განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა ბინის საკუთრების მოწმობა.

მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში 2015 წლის იანვრიდან დღემდე შეყვანილია -49 ბენეფიციარი.

შემუშავებულია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებზე გადაცემული იქნა სარგებლობის ფორმით სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონება. მზადდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ დადგენილებები. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში, 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გამგებლის რეზოლუციით დაგვეწერა 400- მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

აქტიურად ვაანალიზებთ თითოეულ იმ დეტალს,რა იყო 2015 წელს კარგი და რა - არადამაკმაყოფილებელი,რათა მოვახდინოთ ყველა ხარვეზის და ნაკლოვანების აღმოფხვრა,რაც ახლდა განყოფილების მუშაობას 2015წელს.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, განყოფილებაში ვხელმძღვანელობთ შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“, საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული-„ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №30 დადგენილებით დამტკიცებული „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება“ და სხვა.

2015 წელს, მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 94 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 47 პროექტი, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები - 12, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 85 ნებართვა მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 9, საცხოვრებელ სახლებზე - 14, სავაჭრო ობიექტებზე - 12, ავტოტექმომსახურებისა და ავტოსამრეცხაოს ობიექტებზე - 6, კომერციულ ობიექტებზე - 3, ავტოგასამართზე -2, ავტოფარეხზე - 2, საზკვების ობიექტებზე - 2, დემონტაჟი - 10, საოფისე შენობა - 3, საწარმო - 3, რეკონსტრუქცია - 13, ფიჭური რადიოსარელეო გადამცემი ანძა და საბაზისო სადგური - 6.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 26 445 (ოცდაექვსიათას ოთხასორმოცდახუთი) ლარი.

შედარებისთვის მოვიყვანთ წინა წლების სტატისტიკურ მონაცემებს:

2010 წელს გაიცა მშენებლობის - 30 ნებართვა;
2011 წელს გაიცა მშენებლობის - 34 ნებართვა;
2012 წელს გაიცა მშენებლობის - 57 ნებართვა;
2013 წელს გაიცა მშენებლობის - 67 ნებართვა;
2014 წელს გაიცა მშენებლობის - 84 ნებართვა.

დასასრულ, იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება და ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება.

დავნერგოთ თანამედროვე სარწყავი და სასათბურე სისტემები

სოფლის მეურნეობა სახელწიფოს განსაკუთრებული მხარდაჭერისა და ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს. ხორციელდება მთელი რიგი ხელშეწყობის პროგრამები, რომელიც ფერმერსაც და გლეხსაც ერთნაირად აძლევს განვითარების და მაღალი მოსავლის მიღების შესაძლებლობას ნაკლები ფინანსური დანახარჯით. მოსახლეობასთან აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციული სახის კონსულტაციები, რაც მათ აძლევთ სწორ ორიენტირს, თუ როგორ დაგეგმონ თავიანთი კოოპერატიული თუ წვრილი გლეხური მეურნეობა. არსებობენ ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებს,მოსახლეობას უწევენ კონსულტაციებს და ეხმარებიან სწორად, თანმიმდევრულად დაგეგმონ და განავითარონ სოფლის მეურნეობის მათთვის სასურველი დარგი. მოსახლეობასთან ამ უწყვეტ კავშირს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური უწევს კოორდინირებას. 7 აგვისტოს გამართული

შეხვედრაზე, დაინტერესებულმა მოსახლეობამ, ფერმერულმა კოოპერატივებმა სარწყავი და სასათბურე სისტემების შესახებ მიიღეს ინფორმაცია, მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის NETAFIM-გან. რომელიც წვეთოვანი ირიგაციის მსოფლიო ინიციატორია. მათი წარმომადგენლობა 110 ქვეყანაშია. აგრონომიული ექსპერტიზის, თანამედროვე ტექნოლოგიების, ტრენინგის და განვითარების ვალდებულების აღების მეშვეობით NETAFIM მომხმარებელს ხელს უწყობს ნაკლები რესურსით მეტი და ხარისხიანი მოსავლის მიღებაში.

აგრონომიული მხარდაჭერა წარმოადგენს საფუძველს ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. ტრენინგის ორგანიზატორებმა ისაუბრეს სარწყავი სისტემის დამონტაჟების ტექნოლოგიაზე, უპირატესობებზე, ნიადაგის ტენიანობის კვლევაზე, რაც საწყისი ეტაპია სისტემის დასამონტაჟებლად და იმ ურთიერთობაზე, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს კომპანიასა და მომხმარებელს შორის. მსგავსი ტიპის შეთავაზებები და შესაძლებლობები იცავს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობას გვალვებისაგან და ამცირებს ბუნებაზე დამოკიდებულებას. მოსახლეობამ დადებითად შეაფასა და მიიღო აღნიშნული ინოვაციური, კომპაქტური საირიგაციო სისტემა, რომელიც ეტაპობრივად ინერგება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

საჩუქრები შავშვებს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ Campus Lions Club Tbilis -მა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ბრენდთან კომპანია Lego Toys-თან და რომელსაც მიენიჭა პრიორიტეტი ლეგოს სათამაშოების დარიგების კუთხით, ხაშურის №1, №3 და №4 საბავშვო ბაღებს ლეგოს სათამაშოები გადასცა.

პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია მოივლის საქართველოს ყველა რეგიონს და 102 საჯარო საბავშვო ბაღს უსასყიდლოდ გადაცემს სათამაშოებს, ასევე, დიასპორის სამინისტრო უზრუნველყოფს სათამაშოების დისტრიბუციას ევროპის მასშტაბით, ქართულ საბავშვო ბაღებში.

პროექტის მხარდამჭერები არიან; კომპანია Lego Toys, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, დიასპორის სამინისტრო, კომპანია DELFOOD.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურად ჩაერთო ამ სასიკეთო საქმეში და მადლობა გადაუხადეს კომპანიის წარმომადგენლებს პატარებზე ზრუნვისთვის.

ბენდი, რომელსაც უკვე საქართველო იცნობს

უკვე 4 წელია, რაც ქალაქ ხაშურში Rock travelling band-ი სერიოზულ ნაბიჯებს დგამს შემოქმედებით ასპარეზზე. ნიჭიერი ოთხეული ძალ-ღონეს არ იშურებს საკუთარი მუსიკით განსაკუთრებული ნიშა დაიმკვიდროს მუსიკალურ სამყაროში. გამომდინარე იქიდან, რომ მუსიკა რომელსაც ისინი ქმნიან საკმაოდ პოპულარულია ახალგაზრდებში და არამარტო, ბენდი შეიძლება საკმაოდ პერსპექტიულადაც ჩაითვალოს. ნიკა ბოლოკაძე, ზაალ ჯოჯიშვილი, ნუგზარ ნოზაძე და გიორგი სუხიშვილი სწორედ ის

ახალგაზრდები არიან, რომლებიც ცდილობენ პოპულარიზაცია გაუწიონ საკუთარ მუსიკას და მსმენელსაც სიამოვნება მიანიჭონ. ბენდის ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე წვრილებს გავესაუბრეთ:

-როდის დაარსდა ბენდი? როგორ შეიკრიბეთ?

ნიკა: *-ბენდი 2011 წლის ნოემბერში ჩამოვაყალიბეთ. გიორგის და ზაალს ბავშვობიდან ვიცნობდი, მხოლოდ ნუგზარი შემოგვიერთდა ოდნავ მოგვიანებით.*

ნუგზარი:- *თავიდან 6 ვიყავით. ბენდში ბასისტი გიორგი ელიაშვილი და დასარტყამ ინსტრუმენტზე ბაჩუკი ამანათაშვილი იყვნენ. ნიკა ჩვენი ხელმძღვანელი იყო, მაგარამ სწავლის გამო ბაჩუკიმ და გიორგიმ ბენდი დატოვეს, ნიკას დასარტყამ ინსტრუმენტზე მოუწია დაკვრა, გიორგი სუხიაშვილმა კი ორი ფუნქცია შეითვისა-სოლისტის და ბასისტის.*

ზაალი:-*მე და ნიკას ხშირად გვქონდა საუბარი ბენდის შექმნაზე და ამ ინიციატივაში ნიკას მამამაც აგვიბა მხარი. თავდაპირველად ფოლკლორული მუსიკის ჟანრში უნდა გვეცადა ძალები, თუმცა შემდგომ სხვა ჟანრი ვარჩიეთ, რომელიც უფრო მეტად მოგვწონდა, გვაინტერესებდა, ესაა რასაც დღეს ვქმნით, ანუ ალტერნატიული მუსიკა. გვაქვს ასევე პოპულარული სიმღერების „ქავერ" ვერსიებიც. საერთო ჯამში, ჩვენი შეკრების მიზეზი ძირითადად მუსიკის დიდი სიყვარული და ერთნაირი მუსიკალური გემოვნება იყო.*

-ახლა შემოქმედების რა ეტაპზე ხართ? რას საქმიანობდა ბენდი შექმნის დღიდან?

გიორგი: - *გვაქვს ერთი ალბომი და ამჟამად ახალ ალბომზე ვმუშაობთ.*

ნიკა: - *ბენდის შექმნის დღიდან ვმონაწილეობდით სხვადასხვა როკ-ფესტივალებზე. ვიყავით ქუჩის მუსიკის ფესტივალზე ბათუმში, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაგვიფინანსა. მივიღეთ მონაწილეობა ხელოვნების ფესტივალშიც. გვქონდა მოწვევა ასევე ტელევიზიებიდანაც. ზოგ ტელევიზიაში ჩვენვე ვგზავნიდით სიმღერებს და შემდგომ გვიკავშირდებოდნენ. გამოვედით ტელეკომპანიების ჯი-დი-ეს-ის და იმედის დილის გადაცემებში. მაგალითად გადაცემა კომუნიკატორში 4-ჯერ ვიყავით, სადაც მხოლოდ ჩვენ სიმღერები შევასრულეთ. ხაშურში გვქონდა მასშტაბური კონცერტი. ჩვენი მონდომებით და მეცადინეობით მოვახერხეთ იმდენი, რომ ხალხი მოვიდა ჩვენი მუსიკის მოსასმენად.*

-თქვენ ალბომებს თუ ყიდით, როგორც ბენდი, შემოსავალს საიდან იღებთ?

გიორგი:- *ჩვენი სიმღერები ძირითადათ ინტერნეტ სივრცეში ტრიალებს. ალბომის გამოშვება და შემდგომ რეალიზაციაში ჩაშვება სერიოზულ ფინანსებთან არის დაკავშირებული, რომლის სახსრები ბენდს არ აქვს ამ ეტაპზე. შემოსავალს თბილისში კორპორატიულ სადამოებზე გამოსვლიდან და ასევე კლუბებში სიმღერიდან ვიღებთ. აქ ძირითადად პოპულარული სიმღერების „ქავერებს" ვმღერით.*

-ბენდის პოპულარიზაციისთვის თუ გიცდიათ ბედი მუსიკალურ კონკურსებზე?

ნიკა: - *კი „X ფაქტორში" და „ნიჭიერის" შესარჩევ კონკერსზე ვიყავით.*

-თქვენ სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

-გვინდა ახალი ალბომის გამოშვება, რომელსაც „ქართული" ერქმევა, სადაც ჩვენ მიერ შექმნილი 15 ქართული სიმღერა შევა. ასევე გვინდა, რომ ხაშურში კონცერტი გავაკეთოთ. როდესაც მთელი წელი ვმუშაობთ და ვშრომობთ, ბუნებრივია, გვსურს შრომა დაგვიფასდეს. გვჭირდება მხარდაჭერა, რათა შემოქმედება მსმენელს გავუზიაროთ, შემდგომში ჩვენი მუსიკის პოპულარიზაციისა და რეალიზაციისათვის.

ხაშურის რეალობიდან გამომდინარე, რაიონში ყოველთვის გვყავდა ფოლკლორული ანსამბლები და, როგორც ასეთი,– როკი და ალტერნატიული მუსიკა უცხო იყო, თუმცა ეს ჯგუფი ამ მხრივ ნოვატორი აღმოჩნდა. Traveling band-ის მუსიკამ სასიამოვნოდ გამაკვირვა. ბიჭები საკმაოდ გემოვნებიან მუსიკას ქმნიან და მათ სიმღერებში საოცარი ინდივიდუალიზმი იგრძნობა. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, იმის გამო, რომ ხაშურის მასშტაბით მოსახლეობის ინტერესი ნაკლებია მათი მუსიკის მიმართ. თუმცა, მაინც ენთუზიაზმით გამოირჩევიან და საქმეს გულმოდგინედ აგრძელებენ. მათ ნამდვილად მხარდაჭერა სჭირდებათ თითოეული ჩვენგანისგან, რათა შემოქმედება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ. როგორც რიგითმა მსმენელმა ნამდვილად სიამოვნება მივიღე მათი მუსიკით, რომელიც ინტერვიუს დასრულების შემდეგ შემოგვთავაზა ბენდმა. მათ შემოქმედებას მანამდეც ვიცნობდი, თუმცა პირადად გასაუბრების შემდეგ მათი ნიჭიერებით, მონდომებით გაკვირვებული დავრჩი და ორმაგად გამიჩნდა სურვილი, მათი წარმატების მიღწევის.

თ. ახალკაცი

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება მეცხრე საჯარო სკოლის პედაგოგის, ქალბატონ **დალი ლომიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და პედაგოგიურ კოლექტივს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.